საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№ 01-04/21 ბრძანება 16-03- 2022 წ.

MES 2 22 0000268593

16/03/2022

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის შემუშავება-განხორციელების წესი და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1.წინამდებარე წესი განსაზღვრავს:

- პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის პროცედურებს;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს - პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) განხორციელების შეფასების პროცესს, რეკომენდაციების შემუშავების და მათ საფუძველზე პროგრამის შემდგომი სრულყოფის და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმებს;
- პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე (შემდგომში - პროგრამ) ადგენს შესაბამისი პროგრამის დასრულებისა და სერტიფიკატის მიღების კრიტერიუმებსა და წესს.

1.2.დოკუმენტი შემუშავებულია ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანებისა და სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული რეკომენდაციების საფუძველზე.

თავი 1
პროფესიულიმომზადებისადაპროფესიულიგადამზადებისპროგრამისშემუშავების, დამტკიცების, მასშიცვლილებისშეტანისპროცედურები

მუხლი 2. პროფესიულიმომზადებისადაპროფესიულიგადამზადებისპროგრამისარსი

2.1. პროფესიული მომზადების პროგრამა, არის პროგრამა, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. ასეთი პროგრამები, ჩვეულებრივ, არ საჭიროებს ამავე მიმართულებით სპეციალიზებულ ცოდნას, ანუ წარმოადგენს ამ სფეროში საწყისი კომპეტენციების განმავითარებელ პროგრამას.

2.2. პროფესიული გადამზადების პროგრამა არის პროგრამა, რომლის მიზანია კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. ასეთი პროგრამები, ჩვეულებრივ, მოიაზრებს, რომ ადამიანს ამავე სფეროში უკვე აქვს გარკვეული ცოდნა, საჭიროებს კვალიფიკაციის ამაღლებას და კომპეტენციების განვითარებას სხვადასხვა კუთხით, ანუ წარმოადგენს შემდგომ განვითარებაზე ორიენტირებულ პროგრამას.

2.3. შესაძლებელია, როგორც პროფესიული მომზადების, ისე პროფესიული გადამზადების პროგრამის შექმნა ერთი მიმართულებით, თუმცა ერთი პროგრამა ვერ იქნება ერთდროულად ორივე სახის.

მუხლი 3. პროფესიულიმომზადებისდაპროფესიულიგადამზადებისპროგრამისშემუშავებისს აფუძველი

3.1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა. პროფესიის სტანდარტი

ბ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

გ. მოდული/მოდულები;

დ. საქართველოს კანონმდებლობით ან/და სხვა საერთაშორისო აქტებით კონკრეტული სფეროს რეგულირებისთვის დადგენილი მოთხოვნები; მაგალითად, CISCO-ს სტანდარტები, საზღვაო განათლებისა და პროფესიებისთვის საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) სტანდარტები და ა.შ.;

ე. დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი ISCO-08, რომელიც არის პროფესიების საერთაშორისო ეროვნული კლასიფიკატორი. მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამას შეესაბამება ჯგუფური ერთეული 2411 - ბუღალტრები;

ვ. საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორი ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი შეიცავს სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის სახეების აღწერას.

3.2. პროგრამის შინაარსი განისაზღვრება ამ წესის დანართის შესაბამისად (დანართი 1)

3.3. აწსუ ვალდებულია მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უზრუნველყოს შესაბამისი მექანიზმის შემუშავება.

მუხლი 4. პროგრამისშემუშავებისპროცედურა

4.1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის ინიცირება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს (დანართი 2)

4.2. პროგრამის შემუშავების მიზანშეწონილობა დგინდება შესაბამისი კვლევის ან დამსაქმებლის მომართვიანობის საფუძველზე;

4.3. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავება ხდება სამუშაო ჯგუფის მიერ;
4.4. შემუშავებული პროგრამის ვერიფიკაცია ხდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ;
4.5. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამას, თუ ის არ არის შემუშავებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას, თან უნდა ახლდეს დასაბუთება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის საჭიროების შესახებ;
4.6. თუ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ერთვება მეწარმე სუბიექტი ან სახელმწიფო ორგანო, დასამტკიცებლად წარდგენილ პროგრამას თან უნდა ახლდეს ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანამშრომლობის ფორმატის შესახებ;
4.7. შემუშავებული პროგრამა მტკიცდება აწსუ აკადემიური საბჭოს მიერ;
4.8. აწსუ რექტორი პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამას ამტკიცებს ელექტრონულ ფორმაზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულებით;

მუხლი 5. პროფესიულიმომზადებისადაპროფესიულიგადამზადებისპროგრამისშემუშავების წესი

5.1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების შემუშავებული პროგრამა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად;
5.2. აწსუ ვალდებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების პროცესში გაითვალისწინოს შესაბამის მოდულზე დაშვების წინაპირობები;

მუხლი 6. პროფესიულიმომზადებისადაპროფესიულიგადამზადებისპროგრამაშიცვლილები სშეტანა

6.1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილება ხორციელდება აწსუ აკადემიური საბჭოს მიერ შესაბამისი დადგენილებით;
6.2. თუ პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამა შემუშავებულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს დაწესებულებას და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში შეიცვალა სწავლის შედეგები, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, აწსუ ვალდებულია, მსმენელთა ახალი მიღების გამოცხადებამდე განახორციელოს პროგრამაში ცვლილება და აცნობოს ამის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;
6.3. თუ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ერთვება ახალი მეწარმე სუბიექტი ან სახელმწიფო ორგანო, პროგრამაში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება და ეცნობოს აღნიშნულის თაობაზე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;
6.4. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობით სახით;

მუხლი 7. პროგრამისგანხორციელება

7.1. პროფესიული პროგრამა განხორციელების ადმინისტრირებას ახდენს აწსუ პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული მომზადება / გადამზადების და არაფორმალური განათლების აღიარების მიმართულება;

7.2. პროგრამის განმახორციელებელი ვალდებულია:

7.2.1. პროგრამის დაწყებამდე პროფესიული მომზადება / გადამზადების და არაფორმალური განათლების აღიარების მიმართულებაში წარმოადგინოს პროგრამის განხორციელების კალენდარული გეგმა, დადგენილი ფორმის შესაბამისად (დანართი 3)

7.2.2. პროგრამის დასრულებამდე წარმოადგინოს სასერტიფიკატო გამოცდისთვის შექმნილი დავალებების ნაკრები, შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების მითითებით;

7.2.3. პროგრამის მიმდინარეობისას განახორციელოს განმავითარებელი შეფასებები;

თავი 2
პროგრამის განხორცილების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი

მუხლი 8. პროგრამისგანხორციელებისშეფასებისინდიკატორები

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების შეფასება ხდება შემდეგი რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების გამოყენებით:

ა) პროგრამის/პროგრამების მსმენელების რაოდენობა (მათ შორის მოქალაქეობის, სქესის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, ასაკობრივ ჭრილში);

ბ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა;

გ) პროგრამის მსმენელებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის თანაფარდობა;

დ) მსმენელთა მიერ სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელი;

ე) მსმენელთა მიღწევების მაჩვენებელი;

ვ) პროგრამის მსმენელთა გამოკითხვის შედეგები;

ზ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგები;

თ) პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;

ი) პროგრამის კურსდამთავრებულების პროგრამის პროფილის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი;

კ) პროგრამის კურსდამთავრებულების არაპროფილურად დასაქმების მაჩვენებელი.

მუხლი 9. პროგრამისგანხორციელებისშეფასებისპროცედურები

9.1. პროგრამის შეფასების ორგანიზებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

9.2. პროგრამის შეფასების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ერთ-ერთი ფორმით:

ა) შეფასების კითხვარის შევსება მატერიალური ან ელექტრონული სახით;

ბ) ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობა;

გ) ინტერვიუ.

9.3. პროგრამის შეფასება ხდება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე.

9.4. პროგრამის შეფასების შედეგების გათვალისწინებით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შემდეგი მიმართულებით:

ა) პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
ბ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, პროგრამის შინაარსის, სწავლების და შეფასების მეთოდების შესაბამისობა მისაღწევ სწავლის შედეგებთან;
გ) განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის ადეკვატურობა;
დ) პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი მატერიალური რესურსების ადეკვატურობა.
9.5. პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგები ეყრდნობა არაუმეტეს 12 კალენდარული თვის მონაცემებს. მონაცემთა ანალიზი და პერიოდული შეფასება ხორციელდება არაუგვიანეს 6 კალენდარულ თვეში ერთხელ.
9.6. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ხდება მონაცემების დამუშავება, გაანალიზება, შეფასება და მიღებული შედეგების შენარჩუნების ან გაუმჯობესების გეგმების შემუშავება;

მუხლი10. შეფასებისასგამოყენებულიწყაროები

10.1. პროგრამის შეფასებისას გამოყენებული ინფორმაცია მოპოვებული უნდა იყოს კანონიერი გზით, სანდო და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი პირველი წყაროს გადამოწმება. პროგრამის შეფასების შედეგები შეიტანება საამისოდ შექმნილ ანკეტაში;
10.2. შეფასებისას შესაძლოა გამოყენებული იყოს რესპოდენტთა ზეპირი ან ანკეტური გამოკითხვები (პროგრამის შეფასება კურსდამთავრებულის მიერ, პროგრამის შეფასება დამსაქმებლის მიერ). ზეპირი გამოკითხვისას სასურველია მიმდინარეობდეს აუდირება ან ჩაწერების დაოქმება. მსმენელთა და პერსონალის ანონიმური გამოკითხვების შედეგები, დაწესებულების მიერ შექმნილი ოფიციალური დოკუმენტები, ელექტრონული ფოსტით მიღებული ინფორმაცია (გამომგზავნის მითითებით), სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია (ადრესატის მითითებით), სხვადასხვა პუბლიკაციები, გამოქვეყნებული კვლევის შედეგები, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გადაცემული ინფორმაცია და სიუჟეტები, სამუშაო შეხვედრების ოქმები, ოპიციალური მიმოწერა და სხვა სახის წყაროები.

მუხლი 11. შეფასებისათვისგამოყენებულიფორმები

1. კითხვარი პროგრამის განმახორციელებლისათვის - დანართი N 4
2. მსმენელის კითხვარი - დანართი N 5

მუხლი 12. სასერტიფიკატო გამოცდის მასალების ვალიდაცია

12.2. პროგრამის დასრულებამდე განმახორციელებლის მიერ სასერტიფიკატო გამოცდისთვის შექმნილი დავალებების ნაკრები, შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების მითითებით წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს;
12.2. შესაბამისი მასალების დროულად შექმნისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერზე წარდგენის ორგანიზებას და მონიტორინგს ახდენს მიმართულება/მიმართულების ხელმძღვანელი.
12.3. პროგრამის შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციების დადასტურებაზე წარმოდგენილი მასალების ვალიდურობის განსაზღვრის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი იხილავს წარმოდგენილ მასალებს და აკეთებს დასკვნას გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ ან შენიშვნ(ებ)ით უბრუნებს მიმართულებას სრულყოფა-დახვეწის მიზნით
12.4. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი უფლებამოსილია მასალების განხილვაში ჩართოს მიმართულების ხელმძღვანელი და/ან განმახორცილელებლი და/ან სხვა შესაბამისი კომპეტენციის პირი.

თავი 3
მსმენელის შეფასება, სერტიფიკატის გაცემა

მუხლი 13. მსმენელისშეფასებისსისტემა

13.1. არსებობს ორი სახის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

13.2. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს მსმენელის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია მსმენელის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით.

13.3. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას. ის ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

სწავლის შედეგი დადასტურდა;

სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

13.4. განმავითარებელი შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს, ასევე შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის დასრულების შემდგომ;

13.5. განმსაზღვრელი შეფასება - სასერთიფიკატო გამოცდა - ტარდება პროგრამის დასრულების შემდგომ სასერთიფიკატო საგამოცდო კომისიის მიერ;

13.6. სასერთიფიკატო საგამოცდო კომისია იქმნება პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით, აწსუ რექტორის მიერ, შესაბამისი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემით;

13.7. სასერთიფიკატო გამოცდის დასრულების შემდგომ სასერთიფიკატო საგამოცდო კომისიის ოქმის საფუძველზე ივსება პროგრამის მსმენელთა შეფასების უწყისი - შემაჯამებელი დოკუმენტი (დანართი 6);

13.8. განმსაზღვრელი შეფასებზე საპატიო მიზეზით არ გამოცხადების შემთხვევაში პროგრამის მსმენელისთვის განმეორებითი შეფასება ინიშნება პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით, აწსუ რექტორის მიერ, შესაბამისი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემით; შეფასების პროცესზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მსმენელის მიერ განსხვავებულ თარიღში შეფასების ჩატარებაზე, არაუგვიანეს შეფასების ჩატარების თარიღის მომდევნო 3 სამუშაო დღისა, განცხადებით მომართვის შემთხვევაში, რომელსაც უნდა დაურთოს საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტები - გამოიცემა ადმინისტრაციული აქტი განსხვავებულ თარიღში შეფასების ჩატარებაზე და ეცნობება მსმენელს.

13.9. მსმენელის თავდაპირველი შეფასების პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად განისაზღვროს:

13.9.1. ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც გამორიცხავს შეფასების პროცესში მსმენელის მონაწილეობის შესაძლებლობას;

13.9.2 სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც გამორიცხავს დადგენილ თარიღში შეფასების პროცესში მსმენელის მონაწილეობის შესაძლებლობას.

13.10. მსმენელს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება;

13.11. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: აწსუ პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, მიმართულების ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის მენეჯერი, მსმენელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში; მსმენელი არ უნდა იყოს სააპელაციო

განაცხადის წარმდგენი მსმენელის თანაჯგუფელი), დარგის სპეციალისტი - განმახორციელებელი. განმახორციელებლის შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი). კომისია მსმენელის საჩივრის სრულყოფილად და სამართლიანად განხილვის მიზნით გადახედავს და აფასებს შესრულების მტკიცებულებას ან თავიდან აფასებს მსმენელს განმსაზღვრელი შეფასებით, რომლის შედეგების საფუძელზე საოქმო დადგენილების სახით აფორმებს პასუხს მსმენელის საჩივარზე. აღნიშნული პასუხი მსმენელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ ფოსტის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

მუხლი 14. პროგრამისსერტიფიკატისმიღებისკრიტერიუმები

14.1. მსმენელს პროგრამით გათვალისწინებული სასერთიფიკატო გამოცდის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ეძლევა შესაბამისი სერტიფიკატისა და სერტიფაკიტის დანართის მიღების უფლება;

14.2. პროგრამის დასრულების შესახებ, პროგრამის მსმენელთა შეფასების შედეგების მონაცემების გათვალისწინებით, აწსუ რექტორი გამოსცემს ბრძანებას, რომლითაც განისაზღვრება სერტიფიკატის მიღებაზე უფლებამოსილი მსმენელები. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი ოდენობის სერტიფიკატების დამზადება.

14.3. სერტიფიკატის მიღებაზე უფლებამოსილი მსმენელების შესახებ ინფორმაცია ელექტრონულ სისტემაში აისახება ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

დანართები

დანართი N1 - პროფესიული მომზადები/ გადამზადების პროგრამის ფორმა
დანართი N2 - პროფესიული მომზადები/ გადამზადების პროგრამის ინიცირების ფორმა
დანართი N3 - პროფესიული მომზადები/ გადამზადების პროგრამის კალენდარული გეგმა
დანართი N4 - კითხვარი პროგრამის განმახორციელებლისთვის
დანართი N5 - კითხვარი მსმენელებისთვის
დანართი N6 - სასერტიფიკატო გამოცდის უწყისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
კირთაძე შალვა

პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის
ხელმძღვანელი სერგო სვანაძე